ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მომზადებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ ინფორმაციას.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

7	ცხრა თვის გეგმა	საკასო შესრულება
შემოსავლები	29 410.5	23 423.2
გადასახადები	9 653.6	9 180.3
გრანტები	17 500.5	12 814.6
სხვა შემოსავლები	2 256.4	1 428.3
ხარჯები	16 015.6	14 617.2
შრომის ანაზღაურება	7 461.6	7 171.9
საქონელი და მომსახურება	5 308.2	4 351.5
პროცენტი	17.5	9.2
სუბსიდიები	987.3	970.2
გრანტები	3.0	1.5
სოციალური უზრუნველყოფა	868.9	783.7
სხვა ხარჯები	1 369.1	1 329.2
საოპერაციო სალდო	13 394.9	8 806.0

არაფინანსური აქტივების ცვლილება	**16 375.0**	**11 144.8**
ზრდა	17 053.1	**11 739.9**
კლება	678.1	**595.1**
მთლიანი სალდო	**-2 980.1**	**-2 338.8**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-3 021.6**	**-2 380.3**
ზრდა		
ვალუტა და დეპოზიტები		
კლება		
ვალუტა და დეპოზიტები		
ვალდებულებების	-41.5	**-41.5**
ზრდა	0.0	**0.0**
საგარეო	0.0	**0.0**
საშინაო	0.0	**0.0**
კლება	41,5	**41,5**
საგარეო	0.0	**0.0**
საშინაო	41,5	**41,5**
ბალანსი	0.0	**0.0**

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

(ათას ლარებში)

დასახელება	**ცხრა თვის გეგმა**	**საკასო შესრულება**
შემოსულობები	**30 088.6**	**24 018.3**
შემოსავლები	**29410.5**	**23 423.2**
არაფინანსური აქტივების კლება	**678.1**	**595.1**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**-**	**-**
გადასახდელები	**33 110.2**	**26 398.6**
ხარჯები	**16 015.6**	**14 617.2**
არაფინანსური აქტივების ზრდა	**17053.1**	**11 739.9**

ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**-**	**-**
ვალდებულებების კლება	**41.5**	**41.5**
ნაშთის ცვლილება	- **3 021.6**	-2 380.3

ინფორმაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება) საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **33 110.2** ათასი ლარით, ფაქტიურმა შერულებამ შეადგინა **26 398.6** ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის **79.7** %.

<u>I შემოსავლები</u>

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ცხრა თვის გეგმით ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა **29 410.5** ათასი ლარი ფაქტიურად 23 423.2 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 79.6 პროცენტიშეადგინა.

I გადასახადები

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია **9 180.3** ათასი ლარი, გეგმის **9 653.6** ათასი ლარის **95.1 % -ია.** აღნიშნულ შემოსავლებში **2 235.0** ათასი ლარი მოდის ქონების გადასახადზე, ხოლო **6 945.3** ათასი ლარი გადასახადი საქონელისა და მომსახურებაზე (დამატებული ღირებულების გადასახადი).

<u>II გრანტები</u>

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია **12 814.6** ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო **17 500.5** ათასი ლარი (73.2 %). მათ შორის:საერთაშორისო ორგანიცაზიებიდან მიღებული გრანტი-1 082.8 მიმდინარე ტრანსფერი – 1 143.6 ათასი ლარი და კაპიტალური ტრანსფერი – 10 588.2 ათასი ლარი.

III სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების სახით ცხრა თვეში სულ შემოსულია **1 428.3** ათასი ლარი, გეგმის **2 256.4** ათასი ლარის 63.3 %.
შემოსავლები საკუთრებიდან სულ შემოსულია 1 143.1 ათასი ლარი; **მ.შ** : **პროცენტების** სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 33.4 ათასი ლარი.
დივიდენდის სახით შემოსავალი 0.
რენტის სახით ჩარიცხულია 1 109.7 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსულია 101.3 ათასი ლარი,

<u>ჯარიმებიდან და საურავებიდან</u> მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 135.1 ათასი ლარი შეადგენა.

<u>ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული</u> საანგარიშო პერიოდში მიღებულია 4 8 . 8 ათასი ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის გადასახდელების დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 33 110.2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 26 398.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 79.7 %-ია.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის ცხრა თვის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 7 461.6ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 7 171.9 ათასი, გეგმის 96.1 %.

1. საკრებულო: შრომის ანაზღაურება 815.8 ათასი ლარი

2. მერია: შრომის ანაზღაურება 2 033.2 ათასი ლარი

3. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია:

შრომის ანაზღაურება 54.2 ათასი ლარი

6. დასუფთავება ნარჩენების გატანა:

შრომის ანაზღაურება 478.8 ათასი ლარი

7. მწვანე ნარგავების მოვლა-პარტონობა:

შრომის ანაზღაურება 40.6 ათასი ლარი

7. სკოლამდელი განათლების დაფინანსება:

შრომის ანაზღაურება 1 593.7 ათასი ლარი

8. კულტურა, სპორტი, ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება: შრომის ანაზღაურება 2 042.4 ათასი ლარი

9. საზოგადოებრივი ჯანდაცვა: შრომის ანაზღაურება 113.2 ლარი

„საქონელი და მომსახურების” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 5 308.2 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 4 351.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 82.0 %-ს შეადგენს.

პროცენტების გეგმა განისაზღვრა 17.5 ათასი ლარის ოდენობით საკასო შესრულებამც შეადგინა 9.2 ათასი ლარი; ანუ 52.5 %

„სუბსიდიების” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 987.3 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 970.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.3 %-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორიცაა:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 689.9 ათასი ლარი;
- განათლების სისტემის ხელშეწყობა - 35.0 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა --60.0 ათასი ლარი;
- რელიგია --7,5 ათასი ლარი ;
- სოციალური პრობლემების და კულტურულ-საგანმანთლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების დაფინანსება - 177.8 ათასი ლარი;

სოციალური უზრუნველყოფის” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 868.9 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 783.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 90.2 %-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

-დაკრძალვის ხარჯი-1.0 ათასი ლარი

- ლტოლვილთა დახმარება - 1.1 ათასი ლარი;
- ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება 18.6 ათასი ლარი;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი - 457.8 ათასი ლარი;
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 268.5 ათასი ლარი.
- გენდერული თანასწორობა-0.8 ათასი ლარი;
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებიდან გაწეული ხარჯი (თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება) –22.3 ათასი ლარი;
- კულტურა, სპორტი, რელიგია ახალგაზრდული ღონისძიებები -9.8 ათასი ლარი
- სკოლამდელი განათლების დაფინანსება - 1.4 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვა --2.4 ათასი ლარი;

„სხვა ხარჯების” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1 369.1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 1 329.2 ათასი ლარის მოცულობით, გეგმის 97.8 %. მათ შორის 109.0 ათასი ლარი მოხმარდა მმართველობისა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსებას;მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია 736.0 ათასი ლარი; დასუფთავება 0.4 ათასი ლარი; განათლება 22.3 ათასი ლარი; 160.7 ათასი ლარი კულტურა, სპორტი, რელიგია და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსებას, ხოლო 300.8 ათასი ლარი სოციალურ პროგრამებს.

ვალდებულებების კლების მუხლიდან დაზუსტებულმა გეგმამ 41,5ათასი ლარი შეადგინა, ხოლო საკასო შესრულებამ 41,5 ათასი ლარია ანუ 100 %.

2024 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულება ხარჯებისა და არაფიანსური აქტივები ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

	დასახელება	ცხრა თვის გეგმა	საკასო ხარჯი
7.10	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება,	5 160.8	4 737.7
7.20	თავდაცვა	0.0	0.0
7.40	ეკონომიკური საქმიანობა,	15 877.5	11 094.7
7.60	საბინაო - კომუნალური მეურნეობა,	1 428.6	1 289.6
7.50	გარემოს დაცვა	1 843.7	1 751.3
7.70	-ჯანმრთელობის დაცვა,	673.5	592.0
7.80	-დასვენება და კულტურა,	4 065.3	3 423.8
7.90	განათლება	3 421.0	2 914.4
7.10	სოციალური დაცვა	639.8	595.1
	სულ ჯამი	**33 110.2**	**26 398.6**

სარეზერვო ფონდი

2024 წლის პირველ ცხრა თვეში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან მერის გადაწყვეტილებით სულ გამოიყო 182.8 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 178.9 ათას ლარს.(97.9 %)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ცხრა თვეში ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამები:

№	ორგანიზაციული კოდ	პროგრამის დასახელება	9 თვის გეგმა	9 თვის შესრულება
1	01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	4 978.0	4 558.8
2	02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	5 698.0	3 056.9

3	02 02	გარე განათება	1 428.6	1 289.6
4	02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 364.4	1 042.0
5	02 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	812.2	661.6
6	02 05	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო	295.2	194.5
7	02 06	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	7 527.7	6 116.4
8	02 08	საზედამხედველო და საექსპერტო მომსახურება	180.0	23.3
9	03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 843.7	1 751.3
10	04 00	განათლება	3 421.0	2 914.4
11	05 00	სპორტი,კულტურა, ახალგაზრდული, რელიგია და გენდერი.	4 071.8	3 430.3
12	06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	673.5	592.0
13	06 02	სოციალური პროგრამები	816.1	767.5
		სულ	**33 110.2**	**26 398.6**